ევროპის ლანდშაფტური კონვენცია და გეოგრაფია

ირინე ჯავახიშვილი

irine.javakhishvili889@ens.tsu.edu.ge

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია, ლანდშაფტური დაგეგმარება

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

ი.ჭავჭავაძის #1

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომის აქტუალობა უკავშირდება ევროპის ლანდშაფტური კონვენციის ინტეგრციის პროცესის შესწავლას როგორც ევროპაში, ასევე საქართველოში. აღსანიშნავია, რომ ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში პირველად იქნა გამოკვლეული კონვენციის როლი საქართველოს სივრცითი დაგეგმარების სისტემაში. ასევე, გამოკვლეულ იქნა საქარველოში სივრცითი კანონმდებლობის როლი კონვენციის განხორციელების კუთხით. განისაზღვრა ის ძირითადი თეორიული და პრაქტიკული მიმართულებანი, რომელიც აუცილებელია კონვენიციის განხორიელებისთვის.

ნაშრომში, კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ :

ევროპის ლანდშაფტების კონვენციის ინტეგრაცია დაგეგმარების სისტემაში აქტიურად ხორციელდება. მიუხედავად იმისა რომ დაგეგმარების განსხვავებული სისტემებია და კონვენციის განსახორციელებლად განსხვავებული იურიდიული დოკუმენტები გამოიყენება, თითოეულ დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია ლანდშაფტის მართვის და სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრაზე.

გამოვლინდა საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობის ძლიერი და სუსუტი მხარეები. დადებითია, რომ კანონით აღიარებულია ლანდშაფტის დაცვის აუცილებლობა, ასვევე არსებობს სამართლებრივი ბაზა ლანდშაფტის დაცვის გეგმების შემუშავების და გარკვეულწილად ხორციელდება კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად ლანდშაფტის მართვის საკითხების გათვალისწინებაც. სუსუტი მხარეებია, რომ არ არის შემუშავებული ლანდშაფტის მართვის, დაცვის და დაგეგმარების მეთოდოლოგიის იურიდიული საფუძველი, ასევე არ ითვალისწინებს კონვენციით განსაზღვრული ღონისძიებების შედგენის პირობებს და განხორციელების ვალდებულებას.

გამოვლინდა, რომ ევროპის ლანდშაფტების კონვენციის მიზნების განხორციელების ფარგლებში ძალიან მნიშვნელოვანია სამართლებრივი დოკუმენტის შექმა, რომელიც იქნება ერთგვარი სტრატეგია და განსაზღვრავს ლანდშაფტის პოლიტიკის შემუშავების ძირითად სამომავლო აქცენტებს საქართველოსთვის.

კვლევის ფარგლებში შემუშავდა ეროვნული ლანდშაფტების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებანი და კონვენციის განხორციელების კუთხით, მეთოდოლოგიური საფუძვლები.